



# კავკასიის უნივერსიტეტი

## კავკასიის ბიზნესის სკოლა

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	მენეჯმენტის ინგლისურენოვანი სადოქტორო პროგრამა
--------------------------------------	--

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება ინგლისურ ენაზე	PhD Program in Management
---	---------------------------

უმაღლესი აკადემიური განათლების საფეხური	დოქტორანტურა
---	--------------

სწავლების ენა	ინგლისური
---------------	-----------

მისანიჭებელი კვალიფიკაცია, კოდი	0203
---------------------------------	------

ქართულად:	მენეჯმენტის დოქტორი
-----------	---------------------

ინგლისურად:	PhD of Management
-------------	-------------------

პროგრამის დამტკიცების თარიღი	25.09.2018
------------------------------	------------

პროგრამის ხელმძღვანელი	<p>ელენე ჯღარკავა დოქტორი, კავკასიის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი კავკასიის ბიზნესის სკოლის დეკანი +995 595 300885; ejgarkava@cu.edu.ge</p>
------------------------	--

პროგრამის მოცულობა კრედიტების მიხედვით	
--	--

სადოქტორო პროგრამის ოფიციალური ხანგრძლივობაა 3 წელი (6 სემესტრი). პროგრამის მაქსიმალური ხანგრძლივობაა 5 წელი (10 სემესტრი). სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო კომპონენტს (60 ECTS კრედიტი) და კვლევით კომპონენტს, რომელიც სრულდება არანაკლებ 2 წელში (4 აკადემიური სემესტრი).

სასწავლო წელი აგებულია სემესტრული პრინციპით. ყველა სასწავლო კურსი არის ერთსემესტრიანი. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას. სასწავლო კვირა მოიცავს როგორც საკონტაქტო, ასევე დამოუკიდებელ საათებს. სემესტრი შეიძლება მოიცავდეს 2 (ინტენსიური სწავლების რეჟიმის შემთხვევაში) ან 16 კალენდარულ კვირიან პერიოდს. სემესტრში სასწავლო კვირათა რაოდენობა დგინდება ყველა მიღებისთვის ინდივიდუალურად.

1 ECTS კრედიტი უდრის 25 საათს, რაც მოიცავს, როგორც დოქტორანტის საკონტაქტო დატვირთვის დროს (ლექცია, სემინარი, გამოკითხვა და სხვა), ასევე დამოუკიდებელი მუშაობისათვის განკუთვნილ დროს.

მენეჯმენტის სადოქტორო პროგრამა შედგება სასწავლო (60 ECTS კრედიტი) და კვლევითი

კომპონენტებისგან. სასწავლო კომპონენტი მოიცავს სავალდებულო სასწავლო სემინარებს, მეთოდოლოგიურ საგნებს (34 ECTS კრედიტი), არჩევით სემინარს (6 ECTS კრედიტი) და სწავლება-ასისტენტობის კომპონენტს (20 ECTS კრედიტი). პროგრამაში წარმოდგენილია ორი არჩევითი სემინარი, რომელთაგან დოქტორანტმა უნდა აირჩიოს ერთ-ერთი. კვლევითი კომპონენტი წარმოდგენილია დისერტაციის სახით. დოქტორანტი დისერტაციის დაცვამდე ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციაში (წარადგინოს საკონფერენციო ნაშრომი პირადად) სადისერტაციო თემატიკის მიმართულებით. კვლევით კომპონენტზე რეგისტრაციის შემდგომ დოქტორანტი ვალდებულია, წარმოადგინოს სემესტრული ანგარიში განხორციელებული სამუშაოს შესახებ, წინასწარ დადგენილი ფორმის შესაბამისად.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობები\***

- ✓ მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი. აპლიკანტს დასრულებული უნდა ჰქონდეს აკრედიტებული უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა.
- ✓ მინიმუმ B2 დონის ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი სერტიფიკატი ან ინგლისურენოვანი საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამის დასრულების დამადასტურებელი დიპლომი ან ბიზნესის სკოლის ინგლისური ენის მისაღები გამოცდის მინიმუმ B2 დონეზე ჩაბარება;
- ✓ კავკასიის ბიზნესის სკოლაში მისაღები გამოცდის ჩაბარება მათემატიკაში;
- ✓ სამოტივაციო წერილი ინგლისურ ენაზე კვლევითი ინტერესის შესახებ;
- ✓ ორი სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე) ბიზნესის სკოლის მიმღები კომისიის სახელზე;
- ✓ კავკასიის ბიზნესის სკოლის მიმღებ კომისიასთან გასაუბრების წარმატებით გავლა.

\* მიღების ვადები მტკიცდება მიმღები კომისიის მიერ და ქვეყნდება პროგრამის ვებ-გვერდზე.

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები**

- ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი;
- წერითი მუშაობის მეთოდი;
- დისკუსია/დებატები;
- ჯგუფური მუშაობა;
- თანამშრომლობითი სწავლება;
- ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი;
- ახსნა-განმარტებითი მეთოდი;
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება;
- ელექტრონული სწავლება.

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა**

პროგრამის ბიუჯეტი შეჯერებული და გათვლილია კავკასიის უნივერსიტეტის ფინანსურ დეპარტამენტთან შეთანხმებით.

## პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება

<p><b>პროგრამის მიზანი</b></p>	<p>სადოქტორო პროგრამის მიზანია, ბიზნესის ადმინისტრირების მიმართულების მენეჯმენტის დარგში მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება სიღრმისეული თეორიული ცოდნა და კვლევის ჩატარებისათვის საჭირო მეთოდოლოგიური უნარ-ჩვევები ორგანიზაციული ქცევის და ორგანიზაციული თეორიის ან ლიდერობის მიმართულებით. სადოქტორო პროგრამა ორიენტირებულია მოამზადოს მკვლევარი, რომელსაც ექნება კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვისა და ჩატარების უნარი. ახალი ცოდნის შექმნასთან ერთად პროგრამის მიზანია, დოქტორანტი დაეუფლოს სწავლების საუკეთესო მეთოდებსა და ცოდნის გადაცემის უნარ-ჩვევებს. ასევე, პროგრამის მიზანია კურსდამთავრებულს გააჩნდეს აკადემიური ეთიკის ნორმები და საერთაშორისო დონეზე მოახდინოს საკუთარი თავის ინტეგრირება აკადემიური საზოგადოების სხვადასხვა ასპარეზზე.</p>
<p><b>პროგრამის სწავლის შედეგები</b></p>	<ol style="list-style-type: none"> <li>1. კურსდამთავრებულს ექნება უახლეს მიღწევებზე დამყარებული სიღრმისეული ცოდნა მენეჯმენტის შემდეგ მიმართულებებში - ორგანიზაციული ქცევა, ორგანიზაციული თეორია ან ლიდერობა; ასევე რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის უახლესი მეთოდების ცოდნა, რაც მისცემს მას საშუალებას აწარმოოს მაღალი რეიტინგის პუბლიკაციის დონის კვლევა მენეჯმენტის მიმართულებით.</li> <li>2. კურსდამთავრებული შეძლებს თანამედროვე და ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და ზედამხედველობას მენეჯმენტის ქვედარგებში და ახალი ცოდნის შექმნას ორგანიზაციული ქცევის, ორგანიზაციული თეორიის ან ლიდერობის მიმართულებით.</li> <li>3. კურსდამთავრებული შეძლებს კვლევის დაგეგვამდე და კვლევის განხორციელების პროცესში წამოჭრილი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას; ასევე მოულოდნელად წამოჭრილი გარემოებების შემთხვევაში საჭირო გადაწყვეტილებების დამოიკიდებლად მიღებას.</li> <li>4. კურსდამთავრებული შეძლებს კვლევით ჯგუფში წარმატებულ მონაწილეობას განსხვავებულ დროსა და სივრცეში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური არხების გამოყენებით.</li> <li>5. კურსდამთავრებული შეძლებს არსებული ცოდნის, ახალი კვლევის შედეგისა და ახალი პარადიგმების შესახებ საერთაშორისო დონეზე თემატურ პოლემიკაში მონაწილეობას.</li> <li>6. უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს შეეძლება ახალი მიგნებებისა და იდეების განვითარება.</li> <li>7. კურსდამთავრებულს შეეძლება გაიაზროს, იკვლიოს და დაამკვიდროს აკადემიური და პროფესიული ეთიკის უმაღლესი სტანდარტები.</li> </ol>
<p><b>დასაქმების</b></p>	<p>პროგრამის კურსდამთავრებულის დასაქმების სფეროებია:</p>

სფეროები	<ul style="list-style-type: none"> <li>⇒ საგანმანათლებლო დაწესებულებები,</li> <li>⇒ სამეცნიერო და კვლევითი დაწესებულებები,</li> <li>⇒ ანალიტიკური კვლევითი ცენტრები,</li> <li>⇒ მენეჯმენტ კონსალტინგური კომპანიები,</li> <li>⇒ სახელმწიფო და კერძო სექტორის ანალიტიკური და კვლევითი დეპარტამენტები,</li> <li>⇒ კერძო კომპანიების მაღალი რგოლის მენეჯერული პოზიციები.</li> </ul>
----------	---

სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა	<p>სტუდენტის შეფასების სისტემა განსხვავდება სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით კომპონენტებში.</p> <p>სასწავლო კომპონენტი მოიცავს შუალედურ და დასკვნით შეფასებებს. სასწავლო კომპონენტში მაქსიმალური 100 ქულიდან შუალედური შეფასებების ჯამის ხვედრითი წილი არის 70 ქულა, ხოლო დასკვნითი გამოცდის - 30 ქულა.</p> <p>შეფასების სისტემაში დადგენილია შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დეტალური ინფორმაცია მინიმალური კომპეტენციის ზღვრის შესახებ მოცემულია კონკრეტული სასწავლო დისციპლინების სილაბუსებში, რომლებიც სასწავლო პროცესის დაწყების წინ იტვირთება სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში.</p> <p>სწავლის თითოეულ ეტაპზე, სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება ეძლევა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მის მიერ დასკვნით გამოცდამდე დაგროვილი შუალედური შეფასებების ჯამური ქულა მინიმუმ 41-ის ტოლია.</p> <p>შეფასების სისტემა უშვებს ორი სახის შეფასებას.</p> <p><u>ხუთი სახის დადებით შეფასებას:</u></p> <p>(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;</p> <p>(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;</p> <p>(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;</p> <p>(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;</p> <p>(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.</p> <p><u>ორი სახის უარყოფით შეფასებას:</u></p> <p>(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;</p> <p>(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.</p> <p>სტუდენტს დასკვნით გამოცდაზე ხელახლა გასვლის უფლება აქვს ადმინისტრაციის მიერ დადგენილ ვადაში, დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ 5 დღის ვადაში.</p> <p>სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში.</p> <p>სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი ფასდება ერთჯერადი შეფასების პრინციპის დაცვით.</p> <p><u>სადისერტაციო ნაშრომის დაცვის შეფასება მიმდინარეობს შემდეგი სისტემით:</u></p>
------------------------------------	---

<p>ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;</p> <p>ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;</p> <p>გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;</p> <p>დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;</p> <p>ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;</p> <p>ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;</p> <p>ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.</p> <p>„ა“-„ე“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.</p> <p>„ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს ეძლევა ერთი წლის განმავლობაში გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლება.</p> <p>„ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იმავე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.</p>
---

<p><b>პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები</b></p> <p>სადოქტორო პროგრამა უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალით პროგრამის ყველა კომპონენტთან მიმართებით.</p> <p>სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი უზრუნველყოფილია აკადემიური პერსონალის მოცემული შემადგენლობით:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>• 3 პროფესორი,</li> <li>• 0 ასოცირებული პროფესორი,</li> <li>• 1 ასისტენტ-პროფესორი,</li> <li>• 2 დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე მოწვეული ლექტორი.</li> </ul> <p>ინფორმაცია პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებაში მონაწილე პირების შესახებ იხილეთ მოცემული კურიკულუმის ბოლოს წარმოდგენილ რესურს-ბაზაში.</p> <p>სადოქტორო პროგრამის სამეცნიერო კომპონენტში ჩართული აკადემიური პერსონალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია კავკასიის ბიზნესის სკოლის მენტორთა და ხელმძღვანელთა გილდიის დებულებაში.</p>
---

<p><b>პროგრამის სხვა რესურსები</b></p> <p>კავკასიის უნივერსიტეტი არის რიგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრი და გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს სასწავლებლებთან, აგრეთვე სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებთან. აქედან გამომდინარე უნივერსიტეტში აქტიურად მიმდინარეობს არსებული და დაგეგმილი აკადემიური პროგრამების ინტერნაციონალიზაცია, პროგრამებში უცხოელი აკადემიური პერსონალის ჩართვა, სტუდენტთა და პროფესორ-მასწავლებელთა გაცვლა და პროფესიული განვითარება. კავკასიის უნივერსიტეტს აქვს ორმხრივი პარტნიორული ურთიერთობა წამყვან საერთაშორისო უნივერსიტეტთან:</p>
---

საერთაშორისო ორგანიზაციების წევრობა:

- [ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის მენეჯმენტის განვითარების ასოციაცია \(CEEMAN\)](#);
- [უმაღლესი საუნივერსიტეტო ბიზნეს სკოლების ასოციაცია \(AACSB\)](#);
- [საერთაშორისო ბიზნესისა და ეკონომიკის სკოლების ქსელი \(NIBES\)](#);
- [ამერიკის სავაჭრო პალატა საქართველოში \(AmCham\)](#);
- [ასოციაცია "Guide"](#);
- [გაერთიანებული ერების აკადემიური გავლენა \(UNAI\)](#).

პარტნიორი უმაღლესი სასწავლებლები:

- ბაბემ-ბოიოს უნივერსიტეტი - [Babes-Bolyai University](#)
- კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტი - [Cracow University of Economics](#)
- კოსტა რიკის ბიზნესის უნივერსიტეტი - [Empresarial De Costa Rica](#)
- ესტონეთის ბიზნესის სკოლა - [Estonian Business School](#)
- გრენობლის მენეჯმენტის სკოლა - [Grenoble Ecole de Management](#)
- ლისაბონის უნივერსიტეტი - [Instituto Superior de Ciencias do Trabalho e da Empresa \(ISCTE\)](#)
- მენეჯმენტისა და ეკონომიკის ISM უნივერსიტეტი - [ISM University of Management and Economics](#)
- სტამბულის ბილგის უნივერსიტეტი - [Istanbul Bilgi University](#)
- პარიზის ESLSCA ბიზნესის სკოლა - [Paris ESLSCA Business School](#)
- რიგის ეკონომიკისა და ბიზნესის ადმინისტრირების საერთაშორისო სკოლა - [Riga International School of Economics and Business \(RISEBA\)](#)
- ტალინის ტექნოლოგიების უნივერსიტეტი - [Tallinn University of Technology](#)
- კატოვიცის ეკონომიკის უნივერსიტეტი - [University of Economics in Katowice](#)
- ვარშავის ეკონომიკის სკოლა - [Warsaw School of Economics](#)

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა**

- კავკასიის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ბიბლიოთეკა;
- კავკასიის უნივერსიტეტის ელექტრონული ბაზები:
  - EBSCO( <http://search.epnet.com/>)
  - Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>)
  - e-Duke Journals Scholarly Collection (<https://www.dukeupress.edu/>)
  - Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books (<https://www.elgaronline.com/page/70/journals>)
  - IMechE Journals (<https://us.sagepub.com/en-us/nam/IMeche>)
  - SAGE Premier (<https://us.sagepub.com/en-us/nam/sage-premier>)
- კომპიუტერული ლაბორატორია;
- სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;
- სასწავლო აუდიტორიები;
- კვლევისთვის საჭირო პროგრამული უზრუნველყოფა (SYSTAT, Nvivo, SPSS)

## სასწავლო გეგმა

№	საგნის კოდი	წინაპირობა	სტატუსი	საგანი/მოდული	წელი						
					I		II		III		
					ECTS კრედიტი						
					I სემესტრი	II სემესტრი	III სემესტრი	IV სემესტრი	V სემესტრი	VI სემესტრი	
1.	SIWR 6111m	არ აქვს	სავალდებულო	სამეცნიერო წერის მეთოდოლოგია	6						
2.	TEME 6112m	არ აქვს	სავალდებულო	სწავლების მეთოდოლოგია	2						
3.	REDE 6121m	SIWR 6111m	სავალდებულო	კვლევის დიზაინი		4					
4.	SEM 6113m	არ აქვს	სავალდებულო	ორგანიზაციული ქცევა	6						
5.	SEM 6122m	SEM 6113m	არჩევითი	ორგანიზაციული თეორია							
6.	SEM 6123m	SEM 6113m	არჩევითი	ლიდერობა		6*					
7.	REME 6114m	არ აქვს	სავალდებულო	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	6						
8.	REME 6124m	არ აქვს	სავალდებულო	ტექსტის ანალიზი		4					
9.	REME 6125m	REME 6114m	სავალდებულო	მრავალცვლადიან მონაცემთა ანალიზი		6					
10.	TEAS 6126m	TEME 6112m	სავალდებულო	ასისტირება		2					
11.	TRPR 6211m	TEME 6112m, REDE 6121m	სავალდებულო	სწავლება და/ან ასისტირება			6				
12.	TRPR 6221m	TEME 6112m, REDE 6121m	სავალდებულო	სწავლება და/ან ასისტირება				6			
13.	TRPR 6311m	TEME 6112m, REDE 6121m	სავალდებულო	სწავლება და/ან ასისტირება					6		
14.	DISS 6321m	ყველა საგანი და კონფერენციაში მონაწილეობა	სავალდებულო	დისერტაცია			X	X	X	X	

\* შენიშვნა: მეორე სემესტრში წარმოდგენილი ორი არჩევითი სემინარიდან დოქტორანტი ირჩევს ერთ-ერთს.

## პროგრამის საათობრივი გაანგარიშება

№	ს ა გ ა ნ ი	ECTS	საკონტაქტო საათები	დამოუკიდებელი საათები	ჯამური საათები
			ლექცია, სემინარი, პრაქტიკული, გამოკითხვა, პრეზენტაცია	დამოუკიდებელი მუშაობა, მ.შ. გამოცდებისათვის მზადება	
1.	სამეცნიერო წერის მეთოდოლოგია	6	45	105	150
2.	სწავლების მეთოდოლოგია	2	15	35	50
3.	კვლევის დიზაინი	4	30	70	100
4.	ორგანიზაციული ქცევა	6	45	105	150
5.	ორგანიზაციული თეორია	6	45	105	150
6.	ლიდერობა	6	45	105	150
7.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები	6	45	105	150
8.	ტექსტის ანალიზი	4	30	70	100
9.	მრავალცვლადიან მონაცემთა ანალიზი	6	45	105	150



## სწავლის შედეგების რუკა

(ფასდება სამი ზრდადი რუბრიკით: I = გაცნობა, R = გაღრმავება, E = განმტკიცება)

№	სწავლის შედეგები (განმარტებულია ქვემოთ) საგანი	1	2	3	4	5	6	7
		1.	სამეცნიერო წერის მეთოდოლოგია		I			
2.	სწავლების მეთოდოლოგია				I	I	I	I
3.	კვლევის დიზაინი		R	I				
4.	ორგანიზაციული ქცევა	I	R					
5.	ორგანიზაციული თეორია	R	R					
6.	ლიდერობა	R	R					
7.	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები			R				
8.	ტექსტის ანალიზი			R				
9.	მრავალცვლადიან მონაცემთა ანალიზი			R				
10.	ასისტირება				R		R	R
11.	სწავლება და/ან ასისტირება				R	R	R	R
12.	დისერტაცია	E	E	E	E	E	E	E

### პროგრამის სწავლის შედეგები:

- კურსდამთავრებულს ექნება უახლეს მიღწევებზე დამყარებული სიღრმისეული ცოდნა მენეჯმენტის შემდეგ მიმართულებებში - ორგანიზაციული ქცევა, ორგანიზაციული თეორია ან ლიდერობა; ასევე რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის უახლესი მეთოდების ცოდნა, რაც მისცემს მას საშუალებას აწარმოოს მაღალი რეიტინგის პუბლიკაციის დონის კვლევა მენეჯმენტის მიმართულებით.
- კურსდამთავრებული შეძლებს თანამედროვე და ინოვაციური კვლევის დამოუკიდებლად დაგეგმვას, განხორციელებასა და ზედამხედველობას მენეჯმენტის ქვედარგებში და ახალი ცოდნის შექმნას ორგანიზაციული ქცევის, ორგანიზაციული თეორიის ან ლიდერობის მიმართულებით.
- კურსდამთავრებული შეძლებს კვლევის დაგეგმვამდე და კვლევის განხორციელების პროცესში წამოჭრილი ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკულ ანალიზს, სინთეზსა და შეფასებას; ასევე მოულოდნელად წამოჭრილი გარემოებების შემთხვევაში საჭირო გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღებას.
- კურსდამთავრებული შეძლებს კვლევით ჯგუფში წარმატებულ მონაწილეობას განსხვავებულ დროსა და სივრცეში თანამდროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიური არხების გამოყენებით.
- კურსდამთავრებული შეძლებს არსებული ცოდნის, ახალი კვლევის შედეგისა და ახალი პარადიგმების შესახებ საერთაშორისო დონეზე თემატურ პოლემიკაში მონაწილეობას.
- უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნიდან გამომდინარე, კურსდამთავრებულს შეეძლება ახალი მიგნებებისა და იდეების განვითარება.
- კურსდამთავრებულს შეეძლება გაიაზროს, იკვლიოს და დაამკვიდროს აკადემიური და პროფესიული ეტიკის უმაღლესი სტანდარტები.

**საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტში ჩართული  
აკადემიური პერსონალის რესურს-ბაზა**

№	სახელი და გვარი	სტატუსი	საგანი
1	ანა მესხი	პროფესორი	სამეცნიერო წერის მეთოდოლოგია
2	ნიკოლოზ ფარჯანაძე	მოწვეული ლექტორი	სწავლების მეთოდოლოგია
3	ნიკოლოზ ფარჯანაძე	მოწვეული ლექტორი	კვლევის დიზაინი
4	ნათია ზედგინიძე	მოწვეული ლექტორი	ორგანიზაციული ქცევა
5	ლევან ბჟალავა	ასისტენტ პროფესორი	ორგანიზაციული თეორია
6	ნათია ზედგინიძე	მოწვეული ლექტორი	ლიდერობა
7	დავით კაპანაძე	პროფესორი	რაოდენობრივი კვლევის მეთოდები
8	ლევან ბჟალავა	ასისტენტ პროფესორი	ტექსტის ანალიზი
9	დავით წიკლაური	პროფესორი	მრავალცვლადიან მონაცემთა ანალიზი